სადოქტორო პროგრამის სახელწოდება – ინგლისური ფილოლოგია / English Philology

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები – სრული პროფესორი მანანა გელაშვილი, სრული პროფესორი მანანა რუსიეშვილი.
კოორდინატორი ემერიტუსი რუსუდან ენუქიძე.

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ა) პროგრამის მიზანი:
ინგლისური ფილოლოგიის დოქტორანტურის კურსი ითვალისწინებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას ინგლისური ენის თეორიის და ინგლისური ლიტერატურის დარგში. შესაბამისად იგი ითვალისწინებს სპეციალიზაციას ორ ქვედარგში 1. ინგლისური ენის თეორია 2. ინგლისური ლიტერატურა.
ამ მიზნის განსახორციელებლად დოქტორანტს პროგრამის ფარგლებში მიეცემა საფუძვლიანი ცოდნა სპეციალიზაციის მიხედვით.იგი მიიღებს კვლევა-ძიების გამოცდილებას. პროგრამის ფარგლებში დოქტორანტებს მიეცემათ საშუალება, მათი პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით, იმუშავონ ინგლისური ენის თეორიის სფეროში შემდეგი მიმართულებებით: ინგლისური ენის სტრუქტურა (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი); მნიშვნელობა ენაში (სემანტიკა, პრაგმატიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, დისკურსის ანალიზი). ამ საკითხების შერჩევის დროს გათვალისწინებულია კემბრიჯის უნივერსიტეტის (კერძოდ, Research Centre for English and Applied Linguistics) და ჩიკაგოს უნივერსიტეტის სადოქტორო დისერტაციების თემატიკა და კვლევის სფეროები. გარდა ამისა, დოქტორანტს შეუძლია საკვლევი თემა შეარჩიოს ოქსფორდის უნივერსიტეტის კომპარატიული ფილოლოგიის და ზოგადი ლინგვისტიკის ფაკულტეტის ენის თეორიის (Linguistic Theory) მიმართულების პროგრამიდან. კერძოდ, ისტორიულ და კომპარატიულ ლინგვისტიკაში, ინგლისური ენის ისტორიაში, სოციოლინგვისტიკაში, თარგმანის თეორიაში და სხვა ნებისმიერ დისციპლინაში, რომელსაც მიმართულების აკადემიური შემადგენლობა ჩათვლის აქტუალურად და რეალური რესურსების შესაბამისად. ინგლისური ლიტერატურის სპეციალიზაციის სადოქტორო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პროგრამა, რომელიც ეფუძნება ინგლისური ლიტერატურის ქვემოდ მოყვანილ პერიოდიზაციას: 1) 650 – 1550; 2) 1550 – 1780; 3) 1780 – 1900; 4) 1900 – დღემდე, დოქტორანტს მიეცემა საშუალება აირჩიოს მისთვის საინტერესო პერიოდი, მიმდინარეობა, ავტორი და პრობლემა.

ბ) პროგრამის შედეგი:
დოქტორანტურის კურსის გავლის შედეგად დოქტორანტებს მიენიჭებათ ინგლისური ფილოლოგიის სფეროში სპეციალისტის სტატუსი. მათ ექნებათ ინგლისური ენის თეორიასა და ინგლისურ ლიტერატურაში (სპეციალიზაციის მიხედვით) დამოუკიდებელი კვლევის უნარი, თანამედროვე სამეცნიერო პრობლემატიკის და მეთოდოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს ორიგინალურად გამოიკვლიონ აქტუალური საკითხები და ანალიზის შედეგები პრაქტიკულად გამოიყენონ; და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, შესძლებენ თავიანთი წვლილი შეიტანონ ახალგაზრდა სპეციალისტების დაოსტატების საქმეში.

ცოდნა და გაცნობიერება
1.1. თანამედროვე მეცნიერული თეორიების და მეთოდოლოგიის დაუფლება ინგლისური ენის თეორიული დისციპლინების სფეროში
1.2. თანამედროვე მეცნიერული თეორიების და მეთოდოლოგიის დაუფლება ინგლისური ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის სფეროში

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები
2.1. სამეცნიერო ნაშრომების წერის უნარი
2.2. სამეცნიერო მოხსენებების პრეზენტაციის უნარი
2.3. სალექციო კურსების მომზადებისა და წაკითხვის უნარი

ზოგადი/ტრანსფერული უნარები
3.1. სამეცნიერო ნაშრომისთვის საჭირო მასალის (როგორც ემპირიული, ისე თეორიული) მოპოვების უნარი.
3.2. მოპოვებული მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის უნარი.
3.3. მეცნიერული მასალის არგუმენტირების უნარი.
3.4. სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობის უნარი.

გ) დასაქმების სფეროები
ინგლისური ფილოლოგიის დოქტორანტურის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ინგლისური ენის თეორიისა და ინგლისური ლიტერატურის სფეროში კვლევა-ძიება და სწავლება უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, მაგისტრების და დოქტორანტების ხელმძღვანელობა.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები
ა) ინგლისურ ფილოლოგიაში სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ინგლისურ ფილოლოგიაში მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.
ბ) ინგლისური ენის C1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ცნობა გამოცდის ჩაბარების შესახებ.
გ) ინგლისურ ფილოლოგიაში სადოქტორო პროგრამის კანდიდატმა უნდა გაიაროს გასაუბრება სადისერტაციო საბჭოს დარგობრივ (ან ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების რამდენიმე პროფესორისგან შემდგარ) კომისიაზე ინგლისური ენის თეორიაში ან ინგლისურ ლიტერატურაში (არჩეული სპეციალიზაციის მიხედვით).

სასწავლო კომპონენტი – 60 კრედიტი
დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას. ინგლისურ ფილოლოგიაში დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს ქვემოდ ჩამოთვლილ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

სწავლების თანამედროვე მეთოდები	5 კრედიტი - სავალდებულო
პროფესორის ასისტენტობა	15 კრედიტი – სავალდებულო
დოქტორანტის I კოლოკვიუმი	5 კრედიტი - სავალდებულო
დოქტორანტის II კოლოკვიუმი	5 კრედიტი - სავალდებულო
კვლევის მეთოდები	5- არჩევითი
მეცნიერების მენეჯმენტი	5 კრედიტი - სავალდებულო
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	5-20 კრედიტი - არჩევითი
საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსები	5-20 კრედიტი - არჩევითი
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათ-ლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსები	5-40 კრედიტი - არჩევითი

დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში ასახულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევითი მუშაობის სავარაუდო გრაფიკი.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპული ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტის კორპუსში (# 5) არსებობს კომპიუტერული ბაზა და ინტერნეტი, რომლითაც დოქტორანტებს შეუძლიათ ისარგებლონ შეზღუდვის გარეშე. დოქტორანტები ძირითადად მათი ხელმძღვანელების პირადი ბიბლიოთეკებით სარგებლობენ, რაც, რა თქმა უნდა, მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე არაა საკმარისი. აუცილებელია დარგობრივი ბიბლიოთეკების შევსება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით. სადოქტორო პროგრამა ინგლისურ ფილოლოგიაში მომავალში ითვალისწინებს დოქტორანტთა მიზნობრივ მივლინებებს დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში, კერძოდ, ინგლისური ენის თეორიის სპეციალიზაციის მქონე დოქტორანტები შესაძლოა მივლინებულ იქნან ნოტინგემის უნივერსიტეტში, რომელთანაც ასოც. პროფ. მ. რუსეიშვილს დიდი ხნის პროფესიული კონტაქტები აქვს. ინგლისური ლიტერატურის სპეციალიზაციის მქონე დოქტორანტებს მივლინებისას კურირებას გაუწევს ასოც. პროფ. მ. გელაშვილი, რომელიც არჩეულია ოქსფორდის უნივერსიტეტის მუდმივ წევრად.

- ინგლისურ ფილოლოგიაში სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 3-4 დოქტორანტის მიღება.

- **პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი:** თსუ ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების აკადემიური პერსონალი:
  ემერიტუსი რუსუდან ენუქიძე
  სრული პროფ. მანანა გელაშვილი
  სრული პროფ. მანანა რუსიეშვილი
  ასოც. პროფ. ნინო დარასელია
  ასოც. პროფ. თინათინ მარგალიტაძე
  ასოც. პროფ. ციცინო ხვედელიძე
  ასოც. პროფ. ნათია ნემსაძე
  ასოც. პროფ. გიორგი ყუფარაძე